# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—სამშაბათი, 21 ნოემბერი 1900 წ. № 1305

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



## 1901 წლისათვის
## მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მოამბე“**

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 6 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 3 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—5 მანეთი,
1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და
1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

(წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 9 მ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 7 „ |
| 1 „ | 75 კ. | 1 „ | 90 კ. |

**წლიური ფასის განაწილება:**

პირველად—3 მანეთი,
პირველ აპრილამდე—3 მანეთი.
თითო ნომერი—3 კაპ.

**ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მ., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.**

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოდის 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4—5 კ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

**ქართული** **ხუთშაბათს, 23 ნოემბერს,** **თეატრი**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ გლ. ალესი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ**

პირველად ახალი პიესა

I

## ქაჯეთანი

დრამა 5 მოქმედ. მწერ.ისნ(ე)ისა თარგ. მარჯანიშვილისა.

II

## მათიკო

მესამე მოქმედება ავ. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.-ბ ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი, მდივანი და სხვ.; ბ-ნნი: აბაშიძე, გლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გაჩეჩილაძე, გედევანოვი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვ

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **მ. ბუნია.**

მზადდება კ. მესხის საბენეფისოდ „მადამ-სანჟენი“ „დენიზა“, „დავით რაბინი“ და სხვ. (3—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.**

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინა—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. მატიცოვი—თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი — სიფილისი $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ ბეგთაბეგოვი—სიფილისის, კანისა და საშარდესი—$1\frac{1}{2}$—2 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი :**

**ი. ხ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.**

**ა. ა. ბელოგოლოვი — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.**

**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**

**ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრატი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრატი ღარიბთათვის უფასოა.**

**ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).**

**ტელეფონი № 274.**

დირექტორი სამკურნალოსი (წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

**ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობა**

## „შუამავალი“

ამით აცნობებს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის პირველიდან ამხანაგობის მაღაზია გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, ოქროევის შენობაში (ცირკის გვერდზე). მაღაზია ვაჭრობს საუკეთესო ღირსების ყოველივე სანოვაგით, ყველანაირის სასმელებითა და კოლონიალურის საქონლით. (5—1)


## ახალი ამბავი

—

✦ ხვალ, 22 ნოემბერს, მ. ი. უ. ხელმწიფე მემკვიდრის დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრეს-ძის დაბადებისა და სახელწოდების დღეს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში, გორის ეპისკოპოსის კირიონის მიერ გადახდილ იქნება სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი.

✦ დღევანდელ სათავად-აზნაურო საგანგებო კრებაზე განხილულ იქნება პროექტი წეს-რიგისა საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის დღესასწაულისა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს გენ.-მაიორს გერშელმანს რუსეთში წასვლამდე, „ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, გამოუცია შემდეგი ბრძანება:

„ქუთაისის გუბერნიის გლეხობა ყოველ წელს მგზავნის ჩემს სახელზე აურაცხელ თხოვნებს (შვიდ ათასამდე). მათ შორის ბევრია საჩივარი სოფლის მოხელეებზე, უმეტეს ნაწილად უსაფუძვლო. კანონით (მე-110 მუხლი ამიერ კავკასიის საგლეხო დებულებისა), სოფლის საზოგადოებებმა და კერძო პირებმა საჩივრები სოფლის მოხელეებზე უნდა მიართვან მაზრის უფროსს ან მომრიგებელ შუამავალს კუთვნილებისამებრ და მხოლოდ მაშინ უნდა გამოგზავნონ გუბერნატორის სახელზე, თუ მათ საჩივრებზე ერთი თვის შემდეგ არ მისცემენ პასუხს მაზრის უფროსი ან მომრიგებელი-შუამავალი (მუხ. III). საჩივრების გაგზავნის ამ წესრიგს ქუთ. გუბერნიის გლეხობა სრულიად არასრულებს, რის გამო საგუბერნიო დაწესებულებანი იძულებულნი არიან არ განიხილონ საჩივრები და ხშირად საფუძვლიანი საჩივრებიც დასტოვონ უყურადღებოდ, რადგანაც ისინი უკანონოდ იყვნენ გამოგზავნილი პირდაპირ გუბერნატორის ან საგუბერნიო დაწესებულებათა სახელზე, მაშინ როდესაც კანონი მოითხოვს, რომ პირველად ისინი მაზრის უფროს მოხელეთ წარუდგინონ. ამიტომ მომჩივან საზოგადოებათა და გლეხთა სასარგებლოდ წინადადებას ვაძლევ მაზრის უფროსებს: 1) აუხსნან სასოფლო ყრილობებზე ხალხს ზემოდ მოყვანილი კანონიერი გზა სოფლის მოხელეებზე საჩივრების წარდგენისთვის და 2) გამოუცხადონ, რომ ყველა საჩივრები, რომელნიც პირდაპირ გუბერნატორის ან საგუბერნიო დაწესებულებათა სახელზე იქნებიან წარმოდგენილნი, უკანვე დაუბრუნდებათ მომჩივანთ განუხილველად“.

✦ მომავალ წლისთვის რუსეთის ნავთსადგურების გაუმჯობესება-გაკეთებისათვის გადადებულია სამი მილიონი მანეთი; მათგან უმეტესი ნაწილი ფოთის ნავთსადგურისათვის.

✦ საერო განათლების სამინისტრო თხოულობს მომავალ წლისათვის განსაკუთრებულ კრედიტს სამასწავლებლო სემინარი-

ებში სამოსწავლო და სამეურნეო ნაწილის გაუმჯობესობისათვის. სხვათა შორის განზრახულია შემოიღონ ხსენებულ სემინარიებში სუფთა-წერისა და ხაზვა-ხატვის სწავლება, სამეურნეო საგნების კურსები და სხვა.

✦ გუშინ ტფილისში გარდაიცვალა ტფილისის 1-ლ სავაჟო გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებელი ოქროპირ ელიზბარის ძე **ხუცურაული.**

✦ ამას წინად შავი ზღვის პირის გუბერნიის დაბა სოჩის მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა, ბ-ნ ვლადიმერ ვლადიმერის ძის რადულოვიჩის მეთაურობით, შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე დაბა სოჩაში **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსების შესახებ.** როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მიწად მოქმედების სამინისტრომ უკვე ნება დართო და კვირას, 19 ნოემბერს, როგორც შევიტყვეთ, შავი ზღვის პირის გუბერნატორის ნება-რთვით, უკვე ოფიციალურად გაუხსნიათ საზოგადოება და უკურთხებიათ კიდეც საზოგადოების საბჭოს სადგომი.

✦ ს. გოლთეთიდან (ტფ. მაზ). გვწერენ, რომ ამ სოფლის გლეხობა ძალიან **გაჭირვებაში ჩავარდა სეტყვის გამო.** ზაფხულის სეტყვამ პირნახულში ნამგალი არავის შეატანინა და ზამთრის საზრდო გაუქრო. როგორც იყო, თესლი იშოვეს, დათესეს—ახლა თაგვი გაჩნდა, და გადარჩება რამ ეხლა თაგვს თუ არა, ღმერთმა უწყის. ამ გაჭირვებაში ახლა ხარჯის გადახდა დაგვატყდაო თავს, ამბობენ, და არ იციან, როგორ გაატარებენ ამ ზამთარს.

✦ იქიდგანვე გვატყობინებენ, რომ მეტად **საძაგელ მდგომარეობაშია აღბულაღის გზა:** ადამიანს უკვირს, როგორ მოგზაურობენ ამ გზით ცხენის ეტლით. ოღრო-ჩოღრო, ღრმა, წებოსავით ტალახი და უშველებელი ოღმართ-დაღმართი საშიშად ჰხდიან მოგზაურობას. ღამე ხომ შეუძლებელია ამ გზით მოგზაურობა. უეჭველია, რომელსამე უფსკრულ ხევში გადავარდება კაცი, რადგანაც გზის ნაპირები არ არიან გამაგრებული.

✦ სოფ. ჩარგლიდან (თიონეთის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქ **დიფტერიტი** გაჩენილა. მაზრის ექიმს კვალი ვერ მიუგნია, თუ საიდან შემოუტანიათ სენი.

✦ როგორც თიონეთიდან გვატყობინებენ, იქ ერთი მეტად **საზიზღარი მკვლელობა** ჩაუდენიათ. გლახა ქონიაშვილს მოუკლავს თავისი ერთად ერთი და ნინო. საქმე ამნაირად ყოფილა: ნინოს შეუყვარებია თვისი მეზობელი სალისაშვილი, რომელსაც ძმების ნება დაურთველად გაჰყოლია. სამი დღე თურმე ძმები ქონიაშვილები ეძებდნენ ნინოს, მაგრამ ვერსად უნახავთ. შემდეგ უკვე შეუტყვიათ, რომ იგი სალირაშვილს გაჰყოლია, გლახას სალირაშვილისათვის მიუმართავს კითხვით, თუ უნდოდა, რატომ არ შეატყობინა ძმებს დ ასეთი საქციელით ძმებიც რად შეარცხვინა დ ქალსაც სახელი რად გაუტეხა. სალირაშვილს ამაზე განუცხადებია, რომ მას არავითარი სურვილი არა ჰქონდა ნინოზე ჯვარი დაეწერა.

როდესაც მიუგნია გლახას იმ ადგილისათვის,სადაც ნინო იყო ურჩევია გლახას დისათვის შინ წაჰყოლოდა, რადგანაც სალირაშვილი მასზედ ჯვრის დამწერი არ იყო. ქალი ძმას არ დასთანხმებია, რაზედაც გაბრაზებულს გლახას ამოუღია ხანჯალი და გამხეცებული მივარდნია დას დარამდენსამე ალაგს დაუჭრია დ იქვე ხრამში გადაუგდია. თავისი ეს შემაძრწუნებელი ამბავი გლახამ პოლიციას თვითონ განუცხადა, რომელმაც უკვე დაპატიმრა გლახა ქონიაშვილი.

✦ დღეს, საღამოს, სახალხო კითხვათა სადგომში ავჭალის ქუჩაზე გაიმართება **ქართული სახალხო წარმოდგენა.** წარმოდგენილი იქნება კ. მესხის მიერ გადაკეთებული პიესა „თამარ ბატონიშვილი“.

✦ კვირას, 26 ნოემბერს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზე, ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის განკარგულებით გაიმართება კონცერტი ხალხისთვის.

✦ მომავალ წლიდან განზრახულია დააარსონ ქუთაისის გუბერნიის ექვს სასოფლო სკოლაში **სასოფლო სამეურნეო განყოფილება.**

✦ **ჩაის საცდელ პუნქტების** გამართვა ოზურგეთის მაზრაში, რომელიც მინდობილი ჰქონდა აგრონომს ტიმოფეევს, უკვე დასრულებულა.

✦ „ნოვ. ობოზრენიე“-ს სიტყვით, ქუთაისის გუბერნიის ბამბის საცდელ მინდორზე მშვენიერი მოსავალი ყოფილა წელს ბამბისა: მიუღიათ 30 ფუთი წმინდა ბამბა დესეტინაზე.

✦ როგორც გაზეთ „პრიაზ. კრაი“-შია მოყვანილი, ქ. ნოვოროსისკში გაირჩა საქმე **ნესტორ ჩხეიძისა,** ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებისა. დამნაშავე, რომელიც 45 წლისაა ახლა, ამ 18-ს წლის წინად იყო ციმბირში გაგზავნილი მღვდლის მოკვლის გამო 20 წლით. მკვლელობა ჩაუდენია მღვდელთან ერთად ქეიფის დროს. ამ თვრამეტის წლის განმავლობაში რამდენჯერმე გამოქცეულა ციმბირიდან და ისევ გაუგზავნიათ დამატებულის სასჯელით. უკანასკნელად 1897 წელს გამოქცეულა სახალინიდან ნოვოროსიისკში და ისევ დაუჭერიათ. სასამართლოში ჩხეიძე ამბობდა, რომ ვერ ჰსძლებდა უთვისიანებოდ და ამისთვის იპარებოდა, არც ერთი დანაშაულობა არ ჩიუდენია გამოპარულს და ამისთვის იგი პატიებას სთხოდა.

მოსამართლეთ მიუსაჯეს ჩხეიძეს უვადოდ მაღნებში მუშაობა და 80 ჯერ მათრახის დარტყმა. მთლად განადგურებული ხუნდებით ჩხეიძე, და მისი ცოლის ღრიალი, რომელიც ქუთაისის გუბერნიიდან ჩამოვიდა საქმის გარჩევაზე დასასწრებლად, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა.

✦ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობამ წარუდგინა კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას დასამტკიცებლად წესდება ქუთაისში ახლად დასაარსებელის **ნადირობის მოყვარულთა საზოგადოებისა.** საზოგადოებას საგნად აქვს: მოაწესრიგოს ნადირობის საქმე; დაიცვას ნადირი მცხოვრებთა უწეს-რიგო ნადირობისაგან; გაავრცელოს ხალხში წესიერი ნადირობის კანონები და საშუალებანი; მოაწყოს ბრძოლა მტაცებელ ნადირის და ფრინველების წინააღმდეგ; გააუმჯობესოს სანადირო ძაღლების ჯიში და სხვა.

✦ კვირას, 19 ნოემბერს, ტფ. მესამე ნაწილში გამოცხადდა ტფილისის მე-2 გილდის ვაჭარი ხაჩატურ ეგანოვი და გამოაცხადა, რომ ღამით 18 ნოემბერს ვილაც ბოროტ-განმზრახველს გაუტეხია ნერსესოვის ქუჩაზე, ჩემი მაღაზიის, ლეიტცის სახლში მოთავსებულ ფანერნის საწყობიდან გამომავალ კარების ფიცარი, საიდანაც გაუტანიათ სხვა და სხვა ნივთები, სულ 630 მან. ეჭვი ამ ქურდობაში ეგანოვს განუცხადებია ალექსი ტერ-საკოვზე, რომელიც უკვე შეუპყრიათ.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსმა ბრალმდებელმა განიხილა საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ბ-ნ აბელისაგან წარდგენილი გამოძიების საქმე, რომელიც ეს მეორე წელიწადია სწარმოებს მთავარ-მართებლის განკარგულებით ქალაქის საქმეთა უწესრიგოდ მართვაში დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ეს საქმე ბ-ნმა ბრალმდებელმა თავისის აზრით წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს.

✦ სოფ. ჩხარიდან (შორაპნის მაზრა) სწერენ „ნორ-დარ“-ს, რომ ამას წინად მახლობელს ტყეში უნახავთ **დასახიჩრებული გვამი** ადგილობრივის მცხოვრების პ. ბრეგვაძისა. ვილაც ბოროტ-მოქმედს იგი **ჯერ** ხანჯლით დაუჭრია და შემდეგ გვამისთვის ცეცხლი წაუკიდებია.

✦ კვირას, 19 ნოემბერს, ტფილისის მე-9 ნაწილში, კოროლენკოს ქუჩასთან, სასტუმრო «ვენეციის» ქვეშ მოთავსებულ ბ. პერლოვის მაღაზიაში აღმოაჩინეს მეტად თავხედურად ჩადენილი ქურდობა. ვიღაც ბოროტ-განმზრახველს, რომლის ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ, დაუქირავებია აღნიშნულ სასტუმროს ერთი ნომერი, საიდგანაც გაუბურღავს იატაკი, ჩაუშვია თოკი და ზედ ჩაჰყოლია მაღაზიაში, მოუსწრია კასის გატეხა, ამოუღია რაც შიგ ყოფილა და კიდევ ცალკე შენახული 3355 მან. ბოროტ-მოქმედს ქურდობა ჩაუდენია შაბათ ღამით, 18 ნოემბერს, და კვირა დილას ადრე ნომრიდგან თვალების ფეშნეტით გამოსულა და სასტუმროს მსახურისათვის გამოუცხადებია, რომ მას თვალები სტკივა და ექიმთან მიეშურება. ამ ნაირად ქურდი სადღაც მიმალულა და ჯერ ვერსად აღმოუჩენიათ.

✦ პოლიციის მე 7 ნაწილში გოგილოს აბანოების ახლო სამი საჟენის სიმაღლიდგან სიმთვრალის დროს გადმოვარდნილა ტფილისის მოქალაქე ნიკოლოზ მიხაილოვი, დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, ტფ. მე 5 ნაწილში, ფეიხაანის ქუჩაზედ მცხოვრებს სიმონ ვართანოვს მეუღლითურთ სახლში დაუტოვებია მარტო თავისი 4 წლის პატარა ქალი, რომელსაც მარტოობის დროს სადღაც ასანთი უნახავს, გაუკრავს თუარა, ტანისამოსზე მიუკარებია, რისგანაც შემოჰკიდებია ცეცხლი. ალში გახვეულ ბავშვის ხმაზე მოცვივნულან მეზობლები, რომელთაც ბავშვისათვის შემოუგლეჯიათ საჩქაროდ ტანისამოსი, მაგრამ ბავშვი მაინც ისე ძლიერ დაშავებულა, რომ ექიმებს ვერავითარი დახმარება ვერ გაუწევიათ და ბავშვი გარდაცვლილა.

## სატახტო ქალაქის გაზეთების

## დეპეშები

✕ ლორდი კიტჩენერი გულ მოდგინედ შეუდგა თავისი გეგმის,—ტრანსვაალის აოხრებისა და ამოწყვეტის,—აღსრულებას. ქალი-მო-

შრი, როგორც ეტყობა, ძალიან მოწადინებულია დაუმტკიცოს ქვეყანას, რომ მას ტყუილად არ დაარქვეს სახელი ომდურმანელი ყასბისა

«დეილი ექსპრესის» კაპშტატიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ კიჩენერი ეხლა ეშურება შეიმუშავოს ისეთი გეგმა ბრძოლისა, რომელმაც, მისის აზრით, მალე ბოლო უნდა მოუღოს ომსა. ამასთანავე ის სულაც არა ჰფიქრობს, გულ-ჩვილად მოექცეს ბურებს, სხვათა შორის, კიჩენერი გადაშქრების დაწყების წინათვე აღკრძალავს ყველა გაზეთებს და ტრანსვაალიდან ყველა სამხედრო კორესპონდენტებს, რასაკვირველია, იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მათი გულის გამსიებელი კონტროლი, მაგრამ ესეც ვერას უშველის. ბარბარასული მოქცევა ინგლისელებისა უკვე ყველას შეტყობილი აქვს და ყველას სწამთ სიტყვები კრიუგერისა, რომელმაც განაცხადა, რომ მას ბევრი ბრძოლა და საქმე ჰქონია შავ-ხალხთან, ველურ ზანგებთან, მაგრამ მაინც არ უნახავს იმისთანა სიმხეცე, რომელსაც ეხლა ინგლისელები სჩადიანო.

დურბანიდან მოსული დეპეშა 10 ნოემბრის რიცხვით, იუწყება, რომ ქალაქი დულსტრომი ლიდენბურგის ოლქში დედა-მიწის პირად არის გასწორებული მისთვის, რომ იქ ბურები ნიადაგ შოვობდნენ თავშესაფარსა და სამხედრო და საგზაო სურსათსაო. მხოლოდ ერთი ეკკლესია დაუტოვებიათ ხელ-უხლებლად.

∝ ბერლინელი გაზეთი «ნაციონალ ცაიტუნგა»-ი თანაგრძნობით ლაპარაკობს პრეზიდენტ კრიუგერისა და მის მართალ-საქმეზედ, მაგრამ ბოლოს შეჰნიშნავს:

«კრიუგერის სიტყვები მასზედ, რომ ბურები თავიანთ ცოლ-შვილით სიკვდილს არჩევენ იარაღით ხელში და თავიანთ ეროვნულს დამოუკიდებლობას კი არ უღალატებენო,—არა გვგონია, რომ ხელს-უწყობენ ორივე მებრძოლ მხარეების შერიგებას. ბურებისა და თვით პრეზიდენტ კრიუგერის სარგებლობა მოითხოვს, რომ მან ცოტა უფრო დაბალის კილოთი ილაპარაკოს ევროპაში მოგზაურობის დროს. არც ერთს დიდ სახელმწიფოს არა სწადიან, დიდი ბრიტანიას გადაეკიდოს ტრანსვაალის გულისათვის.»

ეხლა-ხან სულ სხვა კილოთი ლაპარაკობდა ბერლინის პრესსა. მაშ რამ შეუცვალა მას პატიოსანი მსჯელობა, და გუნება?.. სამოას კუნძულებმა. რომლებითაც ინგლისმა პირში ბურთი ჩასჩარა გერმანიას.

∝ ინგლისის გაზეთები ძალიან გულით სცდილობენ გულ-გრილად შეხვდნენ კრიუგერის მიღებას საფრანგეთში, მაგრამ მაინც ვერ მოუთმენიათ, რომ თავიანთ ბრაზი არ გამოსთქვან ამის გამო. ბევრი გაზეთი და მათ შორის «სენ ჯეიმს-გაზეთიც» ამნაირად ინელებენ თავიანთ ჯავრსა:

«თუ მარსელის მცხოვრებლებს სასიამოვნოდ მიაჩნიათ «ურას» უგონილით და სირბილით მისდიონ ქუჩა-ქუჩა ბებერ ბურს, გამოქცეულს თავის ქვეყნიდან, რაღ უნდა დაუშალოთ მათ ეს სიამოვნება? რა საქმე გვაქვს ჩვენ, რომ კრიუგერს მიეგება 50 კომიტეტი და რომ მას დიდებულად მიიღებენ ბელგიის ყველა ქალაქებში. იგი მაინც ვერას გახდება და ვერას მიაღწევს».

გაზეთი «გლობ»-ი არწმუნებს, რომ ამასთანა დახვედრა, როგორიც კრიუგერს გაუმართეს,—ფულის საქმეაო. ინგლისის კონსულს მარსელში ეუბნებოდნენ, რამდენიმე ათასი ფრანკი მ გვეცი და ინგლისსაც მეტო რულ დემონსტრაციას გაუმართავთო.

როდესაც კრიუგერი ასე დიდებულად მიიღეს მთელს საფრანგეთში, მაშინ კი ინგლისის გაზეთებმა ცოტა არიყოს ხმა დაიმდაბლეს და მთელ თავიანთ ჯავრს და ბრაზსა მარტო კრიუგერზედ ყრილობენ. «დეილი ტელეგრაფი» აცხადებს, რომ «ექს-პრეზიდენტი წარმოადგენს დაცემულს ცინცინატს, რომელმაც თავის დამცირებაში ვერ შეიძინა ვერც სიბრძნე, ვერც თავისი-თავის ღირსება. «ტაიმსი» და «სტანდარტიც» აცხადებენ თავიანთ ბრაზს ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგო.

აი ეს არის ბრიტანიის ის თავმომწონე პრესსა, რომელსაც აქამდე ასეთის პატივის-ცემით უცქეროდნენ ყველანი....

# თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** კვირას, 19 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ა. ყაზბეგის ხუთ მოქმედებიანი ისტორიული დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი“ და კომედია ერთ მოქმედებად „ძალად ავაზაკნი“ გადმოკეთებული ქ. ჟღენტის მიერ.

„კონსტანტინე ბატონიშვილი“ ახალი პიესა არ არის და ქართველმა საზოგადოებამ იცის ამ პიესის ღირსება-ნაკლულევანებანი ჩვენ გვინდა აქ აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ უკანასკნელ მოქმედებაში პიესა იმოდენად მოკლებულია ბუნებრივობას, რომ მაყურებელი განცვიფრებული შესცქერის სცენას და ვერ აუხსნია, თუ რა კანონებს ემორჩილება მსახიობთა სცენაზედ მოქმედება. პიესაში ეფექტიანი სურათები ძალიან ბევრია და მათი კარგად მოწყობით შეიძლებოდა სიამოვნება მიეცათ მაყურებელ საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს ასე არ იყო. ჩვენ არტისტებსაც და რეჟისორსაც თითქო პირობა შეუკრავთ, შეაჯავრონ ქართველ საზოგადოებას ქართული სცენა. როლების უცოდინარობა, მასხრული ჩაცმა და პარიკები, დიდებულთა სიტყვების გადამახინჯება, უხეირო ზლაყუნი, აჩქარებული, თავში დაკრულსავით ხტუნვა სცენაზე,—აი ღირსებები ამ წარმოდგენისა.

არა უშავდათ-რა ქ. მესხს, ბ.ბ. გედევანოვს, გამყრელიძეს და სვიმონიძეს, მაგრამ მათ უსასაცილოებდა თამაშს ყოველივე გარშემორტყმული. ქ. მესხისა კარგი იყო უკანასკნელ მოქმედებაში, მაშინ, როდესაც პირველად შედის შაჰის სასახლეში და შემდეგ სცენაში თეთრტანისამოსში ჯვრით ხელში და შავთმა გადაშლილი. ბ. კანდელაკს ერთი ღირსება ჰქონდა აქამდის—როლების სინდისიერად მომზადება, წელს კი მან დაკარგა ეს ღირსებაც. მეტად ცუდათ თამაშობდა გორჯასპ არაბულის როლს ა. იმედაშვილი, სწორედ გასაოცარია, რომ თეტრის მმართველნი მას ასეთ როლებს აძლევენ. მას არამც თუ დედოფალთან წარდგენა და მეომრის ღირსებით მოხსენება არ შეუძლიან, მას უჭირდა ორიოდ ქართული სიტყვის სწორედ დაუმახინჯებლად წარმოთქმაც. სამწუხაროა საქმის ასეთი გააბუჩავევება. ახლა სცენის მოწყობა! მესამე მოქმედებაში სცენაზე დავინახეთ რაღაცა თეთრი, ჯვარედინი, ქარის წისქვილის ფრთებივით. ვიფიქრეთ, რა უნდა იყოსთქო, უმეტესობამ ბოლომდის ვერ გაიგო რა უნდი ყოფილიყო, ვიდრე ქართველი მხედრობა არ გააშუქა წითლად ამ სასაცილოდ შეთხზულმა მანათობელმა. მიუხედავად ურიცხვ ნაკლულევანებათა დამსწრე საზოგადოებამ, უმეტესად ქანდარამ და მოსწავლეებმა, მოთამაშენი დააჯილდოვეს ხანგრძლივის ვაშას ძახილით და ტაშის ცემით.

კომედიამ „ძალად ავაზაკნი“ კარგად ჩაიარა. მშვენივრად ითამაშეს ქ-ნ ჩერქეზიშვილისამ, გაბუნია-ცაგარლისამ და ბ-ნმა გამყრელიძემ. არა უჭირდათ-რა ქ-ნ მდივანს, ყმაწვილი ქალის როლში და ბ-ნ ავალიანს ორთავაშეილის როლში.

—

**სომხური წარმოდგენა.** შაბათს, 18 ნოემბერს, სომეხ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში გამართა პირველი წარმოდგენა ამ სეზონში. წარმოადგინეს ფრ. კოპპეს დრამა „გვირგვინისათვის“ („Изъ-за короны“). (ეს პიესა, ქართულად გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ, ამ დღეებში წარმოადგინეს სახელწოდებით „ორი გმირი“.) პიესა გვარიანად წარმოადგინეს. კარგნი იყვნენ ქ-ნი მელიქოვისა, ბ.ბ-ნნი ტერ-დავითიანცი, არუთიუნიანი და მამიკონიანი; დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა. საზოგადოდ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. საზოგადოებამ ზოგიერთი მოთამაშენი მრავალის ტაშის-ცემით დააჯილდოვა.

მიუხედავად იმისა, რომ სომხურის წარმოდგენების სეზონი ახალის პიესით დაიწყეს, ხალხი მაინც ცოტა დაესწრო.

# საღამოს დეპეშები

20 ნოემბერი

**პეტერბურგი** დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასულით წაბრძანდა კოპენჰაგენიდან გატშინოში 19 ნოემბერს.

**სევასტოპოლი.** გუშინ სევასტოპოლელნი დღესასწაულობდნენ სინოპის ბრძოლის წლისათვის. სადილზე შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსმა წაიკითხა დეპეშა გენერალის ბოგდანოვიჩისა შემდეგის შინაარსისა: „მოკითხვა და სალამი შესანიშნავს კრებას, რომელიც დღესასწაულობს ჩვეულებისამებრ სინოპის გამარჯვებას. ნევის მიდამოებიდან მე-40 წლების მიჩმანი სიხარულით ვულოცავ შავი ზღვის სახელოვან ფლოტს შესანიშნავ დღეს, რომელსაც დღესასწაულობს ახლა, როდესაც რუსეთის ზღვაოსნები ბრწყინავენ გამარჯვებით შორეულს აღმოსავლეთში. ეს გმირები არიან შვილიშვილები ჩესმის, ნავარინის, სინოპის, სევასტოპოლის და დუნაის გმირებისა. მათ ასახელეს რუსეთის ფლოტი და დაამტკიცეს, რომ ძლიერი და შეურყეველია რუსეთის ფლოტისათვის უკვდავი სული მისი გენიოსურ შემქნილეს პეტრე დიდისა. ნება მომეცით ძველს ამხანაგს გავიმეორო თქვენს მეგობრულს კრებაზე სადღეგრძელო დიდის ბომბარდირის პეტრე ალექსის-ძის გვირგვინოსანის ჩამომავლის ჩვენის საყვარლის ხელმწიფის ნიკოლოოზ ალექსანდრის-ძისა. ურა! ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“! სადღეგრძელოს გამეორებამ გამოიწვია დიდი აღტაცება და საეროვნო ჰიმნი. მთელმა კრებამ გულითადი სიხარულით გაიმეორა ბოგდანოვიჩის სადღეგრძელო.

**კელნი.** კრიუგერმა რაკი გაიგო ლიუქსენბურგიდან მოსული ელჩისაგან ამბავი შესახებ იმისა, რომ, თანახმად წინადვე განაწილებულ დროსი, იმპერატორს, სამწუხაროდ, არ შეუძლიან მიიღოს

კრიუგერი, გადასწყვიტა ბერლინში არ წავიდეს და ჯერ ჰოლანდიაში წავა.

**შანხაი.** იანცზინში ხელ-ახლად აკეთებენ სიმაგრეებს; აქაურ არსენალიდან გემებით გაგზავნეს ცზიანიენში ოცი ორასი გირვანქიანი ასაფეთქებელი ნაღმი.

**კაპშტადტი.** რობერტსი 28 ნოემბერს მიემგზავრება ევროპაში.

**ვაშინგტონი.** პეკინიდან დეპეშით უწყებიან, რომ გერმანიის და ინგლისის ელჩებს დილით ამერიკის ელჩთან ჰქონდათ თათბირი: მუში დარჩა ერთი საათი, სატოეი ორი საათი. საგანი, რაზედაც ჰქონდათ თათბირი, არ იციან, მაგრამ საზოგადო აზრია, რომ კონჯერმა მიიწვია ელჩები გამოუცხადოს მათ ვაშინგტონიდან მოსული დეპეშა, რომელიც შეეხება საერთო შეთანხმების ზოგიერთ მუხლებს. ლიხუნჩანგმა ჩინეთის იმპერატორისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც თანხმობაა გამოცხადებული შესახებ შანსის გუბერნატორის დასჯისა; ქეეშევრდომთ უბრძანა, რომ იმპერატორმა უგზავნის გუბერნატორს აბრეშუმის ყაითანს, რომელიც ნიშანია იმისი, რომ თავი ჩამოიხრჩოს. გერმანელები დიდ მოძრაობაში არიან: პეკინიდან ყოველ დღე მიდიან პატარ-პატარა რაზმებით და იშვიათად ბრუნდებიან უდავლოთ და უტყვეებოთ. ამერიკის კონსული ტიანძინიდან იუწყება, რომ მის მიდამოში მოკრივენი მზადებაში არიან.

**კელნი.** კრიუგერმა მიიღო, სხვათა შორის, დეპუტაცია ბონის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აგრეთვე ძველ გერმანელთა კავშირისა.

**ბელგრადი.** აქაურს საკრებულო ტაძარში დღეს სერბიის სასულიერო წოდებისაგან გადახდილ იქმნა პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის განკურნების შესავედრებლად. პარაკლისს დაესწრო მეფე, მინისტრები, დიპლომატთა კრებული და დიდძალი ხალხი.

**ლივადია,** 20 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე და ღამე გაატარა ძალიან კარგათ. ღამის 9 საათზე სიცხე ჰქონდა 36,6, მაჯა 72. დღეს დილით თვით გრძნობიერება კარგი აქვს, მადა და ღონე ემატება. დილით სიცხე ჰქონდა 36,3, მაჯა—66. ლეიბ-ხირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი პოპოვი და ექიმი ტიხონოვი.

რედაქტორი: ალ. ჭყონია.
გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი **№ 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი **№ 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.).

სამოსტო მატარებელი **№ 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სამოსტო მატარებელი **№ 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).


## განცხადებანი

**დაიბეჭდა და იყიდება** წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **ზ. არაგვისპირელის**

## პირველი წიგნი

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდებათ მათ, ვინც ზემო მოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

## „ივერია“

გამოვა **1901** წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

**ფასი გაზეთისა:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირებს 17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაუთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზე შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის-მომწერელი ერთის ადგილიდან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

**შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის:** ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელის-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან; პირველ მარტს—2 მან; პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან.

**ფასი განცხადებისა:**

მეოთხე გვერდზე თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ..

**გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:**

ტფილისს,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარ., სასახლის ქ., ქართველთ თავად-აზნაურთა ქარვასლა.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ** Редакція „ИВЕРІА.“

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА

**НА 1901 ГОДЪ**

(32-й годъ изданія)

на еженедѣльный иллюстрированный

**ЖУРНАЛЪ**

со многими приложеніями

# НИВА.

Гг. подписчики „НИВЫ“ получатъ въ теченіе 1901 года:

**52 №№** художественно-литературнаго журнала „НИВА“ (около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ). Въ нумерахъ журнала, между прочимъ, появятся: 1) еще нигдѣ не напечатанныя посмертныя произведенія **Д. В. ГРИГОРОВИЧА:** „Очерки Венеціи“ и „Изъ записной книжки“ (характеристика выдающихся современ. русскихъ дѣятелей и анекдоты изъ ихъ жизни); 2) рядъ статей со множествомъ рисунковъ, картъ и пр. подъ заглавіемъ: **„XIX ВѢКЪ“**. Эти статьи дадутъ читателю полную картину жизни истекающаго столѣтія и составятъ отдѣльный роскошный томъ.

**24 ТОМА** полн. собранія СОЧИНЕНІЙ **Г. П. ДАНИЛЕВСКАГО**

съ портретомъ, факсимиле и біографическ. очеркомъ. Полное собраніе соч. Г. П. Данилевскаго, *стоящее въ отдѣльной продажѣ* 15 руб., будетъ отпечатано на хорошо глазированной бумагѣ и будетъ приложено при „Нивѣ“ въ теченіе одного 1901 года подъ заглавіемъ: „Сборникъ Нивы“, въ 24 томахъ—по два тома въ мѣсяцъ, такъ что „Сборникъ Нивы“ 1901 года, по количеству матеріала для чтенія, значительно превзойдетъ „Сборники“ всѣхъ прежнихъ лѣтъ.

**12 КНИГЪ** „ЕЖЕМЕСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ“, содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическія статьи и проч.—современныхъ авторовъ.

**12 №№** „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ“, выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ по фасонамъ лучшихъ мастеровъ.

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ в натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„Стѣнной календарь“ на 1901 г., печатанный красками.

Подписная цѣна на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ СПБ.—5 р. 50 к. 2) въ Москвѣ, въ конт. Н. Н. ПЕЧКОВСКОЙ (Петровск. линіи)—6 р. 25 к. 3) въ Одессѣ, въ кн. маг. „ОБРАЗОВАНІЕ“ (Ришельевск. № 12)—6 руб. 50 коп. СЪ ДОСТАВКОЙ ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ—6 руб. 50 коп. Съ пересылкою во всѣ мѣстности Россіи 7 руб. За границу—10 руб.

Требованія просятъ адресовать: въ **С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала „НИВА“ (А. Ф. Марксу),** Малая Морская, д. № 22. (ვ. 3—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Ноября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ.—ის. განქის დიდი ქუჩა, № 27.